ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 48 1
22/01/2019

1-48-4-201901221527

“ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიასა და სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითრების სააგენტოს“ შორის უსასყიდლო აღნაგობის ხელშეკრულების გაფორმებისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 122-ე მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე, ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა:

მუხლი 1.
მიეცეს თანხმობა ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიას გააფორმოს უსასყიდლო აღნაგობის ხელშეკრულება სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითრების სააგენტოსთან“ ქ. ტყიბულში, თაბუკაშვილის ქუჩა N2-ის მიმდებარედ *(საკადასტრო კოდი: 39.01.26.265)* განთავსებული 1553 m^2 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებით.

მუხლი 2.
ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს ტყიბულის მუნიციპალიტეტსა და იუსტიციის სამინისტროს შორის უსასყიდლო აღნაგობის ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებული საჭირო დოკუმენტაციის მომზადება.

მუხლი 3.
კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.

მუხლი 4.
განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 5.
განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

ნატალია კობახიძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულო